

საქართველოს კანონი

„ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში (სსმ, №43, 2000 წ. მუხ.122) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. პირველი მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების პრივატიზება ან მათი სხვა ფორმით განკარგვა, აგრეთვე მწვანე ნარგავების კატეგორიის შეცვლა აკრძალულია, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდით სარგებლობა დაიშვება სახელმწიფო ტყის ფონდის მიხენის მიზნით სარგებლობისას, ასევე სახელმწიფო ტყის ფონდისათვის სპეციალური დანიშნულების მიწის კატეგორიის მინიჭებისას, ხოლო ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან ფართობების ამორიცხვა დაიშვება მხოლოდ საკურორტო-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტების განხორციელებისას, კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული შემთხვევებისას ან მნიშვნელოვანი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.“

2. პირველი მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის ფონდისათვის სპეციალური დანიშნულების მიწის კატეგორიის მინიჭება და მათი

სპეციალური ტყითსარგებლობისათვის გაცემა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის (გარდა წიაღის მოპოვებისა), რის თაობაზეც გადაწყვეტილებას კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.”

3. მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ყოველგვარი მშენებლობა გარდა მიწენისა და სპეციალური დანიშნულების მიზნით გამოყოფილ ტერიტორიებზე მშენებლობისა;

4. მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი